



გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი

რეგიონული განვითარების პროექტი (RDP II)  
(P130421 და P157465)

თებერვალი

2016

# გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი

## 1. შესავალი

წინამდებარე გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამოქმედო სახელმძღვანელოს განუყოფელ ნაწილს. ის მომზადებულია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით რეგიონული განვითარების II პროექტის განსახორციელებლად და შესაბამისობაშია როგორც ეროვნულ პოლიტიკასა და რეგულაციებთან, ისე მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან. გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს პროექტის მართვის გარემოსდაცვით, კულტურულ და სოციალურ ასპექტებს. ამ პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი ასევე ეხება არანებაყოფლობით განსახლებას. არანებაყოფლობითი განსახლების განხორციელების მექანიზმებს არ მოიცავს გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი, რადგან მგფ-ს შემუშავებული აქვს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (გპჩდ), რომელიც უზრუნველავს არსებული სიტუაციების იდენტიფიკაციას, თუ სად არის ნებადართული განსახლების პოლიტიკის განხორციელება, ასევე განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას და განხორციელებას.

## 2. პროექტის საფუძველი

სწრაფი ზრდის ოთხწლიანი პერიოდის შემდეგ, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი რეფორმები და ძლიერი ფინანსური ინვესტიციების შემოდინება, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად საქართველომ მკვეთრი ეკონომიკური დაღმასვლა განიცადა. მიმდინარეობს ეკონომიკური რეგენერაცია, რომლის ზრდის მაჩვენებელი 2010 წელს 6.3 პროცენტს შეადგენდა. მთავრობამ ამ კრიზისზე რეაგირება მოახდინა ანტიციკლური ფისკალური სტიმულით, სახელმწიფო ხარჯების სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებში გადანაწილებასთან ერთად. ეკონომიკური რეგენერაცია უკვე დაწყებულია, რომელსაც ამოძრავებს გაზრდილი ექსპორტი და კერძო ინვესტიციები, მთავრობა ასუსტებს სტიმულს და მდგრადი განვითარების გარანტირებისათვის ახორციელებს ფისკალურ რეგულირებას. თუმცა, არსებობს გაურკვეველობა ეკონომიკური რეგენერაციის ტემპთან დაკავშირებით. 2013 წელს საქართველომ უნდა განახორციელოს სახელმწიფო ვალის

ამორიზაციის პიკის რეფინანსირება. მთავრობა ამ სუსტ რგოლებს უპირისპირებს კარგად დაგეგმილ ფისკალურ, სავალუტო და ვალის მართვის პოლიტიკას. ინფრასტრუქტურული პროექტები მთავრობის მიერ ითვლება ფიზიკური სტიმულის პაკეტის ნაწილად.

გასული ექვსი წლის განმავლობაში მთავრობამ თავის ძალისხმევა მიმართა შერჩეულ რეგიონებში (თბილისი, აჭარა) სხვადასხვა სექტორებში კერძო ინვესტორების მოზიდვისაკენ მიმართული რამოდენიმე ინიციატივის წამოწყებისაკენ. თუმცა, საქართველომ ჯერ სრულად ვერ გამოიყენა მთელი თავისი პოტენციალი მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობისათვის ისეთ იმდისმომცემ რეგიონებში, როგორცაა იმერეთი, და ასევე სასოფლო ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მოწოდების ქსელში ინვესტირების მეშვეობით, ორივეს – იმპორტისა და ექსპორტის ჩასანაცვლებლად. რსებობს ასევე უნარიანობის გამომჟღავნების საჭიროება, რათა უზრუნველყოფილი იქნას კვალიფიციური მუშახელი მზარდი ეკონომიკისა და გაძლიერებული პროდუქტიულობისათვის.

საქართველოს მთავრობამ სთხოვა მსოფლიო ბანკს ვერტიკალური პროგრამული მიდგომის გამოყენების მეშვეობით მხარი დაეჭირა იმერეთისა და კახეთის რეგიონული განვითარებისათვის. შემოთავაზებული ჩარევის პროგრამა ფოკუსირებული იქნება ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, როგორც ეკონომიკური განვითარების ორ ძირითად საყრდენსა და მამოძრავებელ ძალაზე. რეგიონული განვითარების პირველი პროექტი ხორციელდება კახეთის რეგიონში, ხოლო რეგიონული განვითარების მეორე პროექტი განხორციელდება იმერეთის რეგიონში. საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, მსოფლიო ბანკი დამატებით დააფინანსებს რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გაგრძელებას, შეაგებს იმ ფინანსურ დანაკლისს, რაც გამოწვეული ეროვნული ვალუტის ინფლაციით და დაკავშირებულია მომატებულ ხარჯებთან.

## სექტორული და ინსტიტუციონალური კონტექსტი

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია<sup>1</sup>: საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 25 ივნისს დაამტკიცა (მთავრობის დადგენილება №172), საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია 2010-2017 წლებისათვის, რომელიც მოამზადა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ. სტრატეგიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელსაყრელი გარემოს შექმნა რეგიონული სოციო-ეკონომიკური განვითარებისათვის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ეს მიზნები მიღწეული იქნება დაბალანსებული სოციო-ეკონომიკური განვითარებით, გაზრდილი კონკურენტუნარიანობით და რეგიონების გაზრდილი სოციო-ეკონომიკური გათანაბრებით. მთავრობამ განახორციელა ინვესტიციები თბილისში, როგორც საქართველოს ზრდის პოლუსში და ასევე აჭარაში (საქართველოს დასავლეთში), როგორც ზრდის ცენტრში. იმერეთში (საქართველოს დასავლეთი) არსებული ტურიზმისა და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის, და შიდა სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად, მთავრობას გამიზნული აქვს მსოფლიო ბანკის დახმარებით ხელი შეუწყოს იმერეთის განვითარებას, რათა გადააქციოს იგი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დინამიური განვითარების ცენტრად.

იმერეთის კონტექსტი: საქართველოს მთავრობის ხედვა, იმერეთის რეგიონში რეგიონული განვითარების მეორე პროექტთან დაკავშირებით, ასახულია იმერეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიაში (2014-2021 წელი), რომელიც შეიმუშავა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ევროკავშირის მხარდაჭერით და ასევე, იმერეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც შეიმუშავა საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ.

იმერეთს უჭირავს დაახლოებით 6,552 კმ<sup>2</sup> ტერიტორია (საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 9.4 %). რეგიონი შედგება 12 ადმინისტრაციული რაიონისაგან: ქუთაისი (რეგიონის დედაქალაქი), ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ხარაგაული, ხონი. რეგიონში არის 542 დასახლებული ერთეული, აქედან: 10 დიდი ქალაქია (ქუთაისი, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ხონი), 3 ქალაქი (შორაპანი, კულაში და ხარაგაული), და 529 სოფელი. მისი მოსახლეობა დაახლოებით 703,485 სულს შეადგენს, რაც საქართველოს მოსახლეობის 16%-ია, მოსახლეობის სიმჭიდროვე 107 სული/კმ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია (RDS): <http://www.mrdi.gov.ge/?page=lawv&id=4&lang=2>

იმერეთს გააჩნია ტურიზმის განვითარების უზარმაზარი პოტენციალი. რეგიონში მდებარეობს 78 ტაძარი, 13 ციხე-სიმაგრე, 39 არქეოლოგიური ძეგლი, და 27 მუზეუმი. კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენს: ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი, ვანის ნაქალაქარი, სათაფლიას გამოქვაბული, კაცხის სვეტი, და მოწამეთას მონასტერი.

რეგიონში ასევე არის 3 დაცული ტერიტორია, 12 უნიკალური გამოქვაბული, და 9 მინერალური წყლების კურორტი, ცხელი და ცივი წყაროს წყლებით. იმერეთის უშუალო სიახლოვეში ასევე მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც ევროპის უდიდეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს.

რეგიონში მთავარ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს ყურძნისა და სიმინდის მოყვანა და მეცხოველეობა. თუმცა სამტრედიის ფერმერები უფრო ჩართულები არიან ჩაის, ვიდრე ხილისა და ბოსტნეულის მოყვანაში. შინამეურნეობები უმეტესწილად ჩართულები არიან სიმინდის (48,000 ჰექტარი; 131,000 ტონა), ვენახის (15,000 ჰექტარი; 63,000 ტონა) და ხილის (7,000 ჰექტარი; 20,000 ტონა) კულტივირებაში. (ეს ინდიკატორები წარმოადგენს კომბინირებულ მონაცემებს იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებისათვის).

იმერეთში სამრეწველო საწარმოების უმეტესობა განლაგებულია ქვეყნის მთავარი სამანქანო გზებისა და რკინიგზის ხაზების გასწვრივ ქუთაისში, ზესტაფონსა და სამტრედიაში. მნიშვნელოვანი საწარმოების თითქმის ნახევარი მდებარეობს ქუთაისში, რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, რომელსაც ასევე გააჩნია აეროპორტი. რეგიონის საწარმოების მთლიანი მწარმოებლურობა შეადგენს ქვეყნის სამრეწველო წარმოების 7%-ს და სამეწარმეოს – 10%-ს. რეგიონში არსებული საწარმოებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია ჭიათურმარგანეცის ქარხანა და ზესტაფონის ფეროშენადონობთა ქარხანა.

რეგიონული განვითარების პროექტი II მიზნად ისახავს რამოდენიმე მიზნის მიღწევას: (ა) იმერეთის ტურისტული პოტენციალის გაზრდა; (ბ) დასაქმების ხელშეწყობა; (გ) კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა რეგიონში, უპირველეს ყოვლისა ყურადღება გამახვილდება კერძო ტურიზმისა და მასპინძლობის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებზე.

მთავრობის აზრით, პროექტი საშუალებას მისცემს იმერეთის რეგიონს უკეთ შეუერთდეს ტურისტულ მარშრუტებს საქართველოს მასშტაბით, განავითაროს აქამდე განუვითარებელი, მაგრამ პოტენციურად მნიშვნელოვანი ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის პოტენციალი, რომელიც რეგიონში არსებობს. იმერეთი ახალ ენერჯიას მოიკრებს, როგორც ზრდისა და მიზიდულობის უმნიშვნელოვანესი საყრდენი, საქართველოს უფრო ფართო კონტექსტში. იმერეთის განვითარების პროექტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის მიერ მხარდაჭერილ საქართველოს სპეციალური დაგეგმვის ხედვის ზოგად კონტექსტში. იმერეთის დედაქალაქი ქუთაისი, საქართველოს მეორე უდიდესი ქალაქი, სწრაფად ტრანსფორმირდება საქართველოს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ/სამთავრობო ცენტრად თბილისის შემდეგ. 2012 წელს საქართველოს პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადავიდა და უდიდეს სტიმული მისცა ქალაქს და არსებით შედეგები მოიტანა ადგილობრივი/რეგიონული განვითარებისათვის. ქუთაისის ცენტრში შენდება კონტროლის პალატა, რეგიონული მმართველობის შენობა და სხვა ნაგებობები. ქუთაისის სიახლოვეს მდებარე საერთაშორისო აეროპორტი უკვე ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს გაზრდილ მობილურობას ქვეყნის მასშტაბით და მიიღებს რეგულარულ და საბიუჯეტო რეისებს საქართველოდან და უცხოეთიდან. იმერეთთან ახლოს მთავრობა ავითარებს რამოდენიმე მნიშვნელოვან საკურორტო ზონას, მათ შორისაა ანაკლიას საზღვაო კურორტი და სათხილამურო კურორტი ზემო სვანეთში.

საჭიროებებისა და პრიორიტეტების ზემდიწევნით გამოკვლევამ საშუალება მისცა ქართულ მხარეს შეემუშაებინა სახელმწიფო ღონისძიებების ნუსხა, რომელიც განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვან მრავლობით დადებით შედეგებს მოიტანს და გარდაიქმნება კერძო სექტორის ინვესტიციების ხელშეწყობად და დასაქმების შექმნად.

შემოთავაზებული ტურიზმის განვითარების ხედვა რეგიონისათვის ითვალისწინებს იმერეთის, როგორც მაღალი ხარისხის გეოტურისტული ადგილის განვითარებას, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მიიზიდავს ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს; კონცეფცია დაეფუძნება მის კულტურულ მემკვიდრეობას და ბიომრავალფეროვნებას და უფრო ხარისხზე იქნება ფოკუსირებული (ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯი), ვიდრე რაოდენობაზე (ჩამოსული ტურისტები). ტურიზმის წარმატება დამოკიდებული იქნება ერთიანი მიდგომის გამოყენებაზე, რაც მდგომარეობს გეოტურიზმის და ვერტიკალური მიდგომის გამოყენებაში ყოვლისმომცველი ურბანული რეგენერაციის ძალისხმევისათვის ძირითად

სანახაობრივ ცენტრებში. ზემოსხენებული მოიზიდავს კერძო ინვესტიციებს, გამოაცოცხლებს ადგილობრივ ბიზნეს საქმიანობას, განავითარებს სრულფასოვან რეგიონული ტურიზმის ქსელს, და გააძლიერებს დასასვენებელი ტურიზმის ორ კლასტერს: კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების/აქტიური დასვენების.

ტურიზმის ხედვის და დასასვენებელი ტურიზმის ორი შემოთავაზებული კლასტერის შემუშავებას მინიმუმ დასჭირდება: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება კერძო სექტორის ინვესტიციების მოსაზიდად; გაუმჯობესებული დაგეგმვა და ორგანიზაცია (მაგ. მარშრუტების მართვის ორგანიზება და სამსახური); ინსტიტუციური გაძლიერება და უნარიანობის გამომუშავება; ასოციაციების/კლასტერის განვითარება; გეოტურიზმის რუკაზე დატანა და ტურების მარშრუტების შემუშავება; გაუმჯობესებული მომსახურება, ნიშნების უზრუნველყოფა და თარგმანი ჩამომსვლელთათვის; და მარკეტინგის ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში მთავრობას განზრახული აქვს ხუთი ობიექტის/ქვეპროექტის დაფინანსება, იმის შესავსებად რაშიც მთავრობამ უკვე განახორციელა ინვესტიციები. ეს ობიექტები შეიძლება ორ კატეგორიად დაჯგუფდეს:

- ერთი ქალაქი, რომელიც ურბანული რეგენერაციისათვის არის შემოთავაზებული და მის უპირატესობას წარმოადგენს მინერალური წყლები არის წყალტუბო (ბალნეოლოგიური აბანო, პარკები და სკვერები, ტბა და წყლის არხები, ბილიკები, გზები, გარე განათება, მიწისქვეშა კომუნიკაციები).
- გაუმჯობესებული მართვისათვის შემოთავაზებულია ოთხი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი: გელათის მონასტერი, რომელსაც UNESCO იცავს, ვანის მუზეუმი, უბისას მონასტერი, კაცხის მონასტერი და სვეტი.

### **3. შემუშავების მიზანი, მოსალოდნელი შედეგები, და რეგიონული განვითარების II პროექტის პროექტირება**

#### **ა. შემოთავაზებული შემუშავების მიზანი**

შემოთავაზებული პროექტის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება რათა მოხდეს ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის და კულტურული მემკვიდრეობის მარშრუტების განვითარება იმერეთის რეგიონში. პროექტისაგან მოსალოდნელი ძირითადი შედეგები ქვემოთ არის მოყვანილი:

**ინფრასტრუქტურული მომსახურება:**

- წყალმომარაგების საშუალო დღიური საათების გაზრდა საპროექტო არეალში (8 საათიდან დღეში 24 საათამდე დღეში)
- სატრანსპორტო საშუალებების ტექნომომსახურების საშუალო ღირებულების შემცირება გაუმჯობესებული ურბანული გზების გამო (100 პროცენტიდან 75 პროცენტამდე)

**ტურიზმის ეკონომიკა:**

- კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდა 0 აშშ დოლარიდან 20 მილიონ აშშ დოლარამდე გამიზნულ ადგილებში;
- მარშრუტების არეალში სასტუმროების რაოდენობის ზრდა 20 პროცენტით (2661 ადგილიდან 3193 ადგილამდე).

**ბ. პროექტის პროექტირება**

**კომპონენტი 1 ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში**

ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ქვემოთმოყვანილი საქმიანობებისთვის საინვესტიციო ქვე-პროექტების განხორციელების მიზნით:

- **ურბანული რეგენერაცია.** შემოთავაზებულია ინტეგრირებული მიდგომა ქალაქ წყალტუბოს აღდგენისათვის. რაც მოიცავს: ა) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის და კომუნალური სამსახურების რეაბილიტაცია ცენტრალურ უბანში; ბ) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისა და კულტურული კერების კონსერვაცია და გ) განსაკუთრებული არქიტექტურული ღირებულების მქონე საზოგადოებრივი შენობების კონსერვაცია. შემოთავაზებული აღდგენითი საქმიანობა ხელს შეუწყობს გარემოსა და სტუმართმოყვარეობის გაუმჯობესებას კულტურულად ინფორმირებულ დონეზე, გაზრდის მიმზიდველობას დამთვალიერებლებისათვის, გამოაცოცხლებს ინფრასტრუქტურას და მოიზიდავს კერძო სექტორის გაზრდილ ინვესტიციებს ტურიზმში.

- **ტურისტული მარშრუტების განსაზღვრა.** ინტეგრირებული მიდგომა კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიების ხელახალი განვითარების და



მართვის მიმართ იმერეთის ძირითად ტურისტულ ცენტრებში განთავსებულ 5 ყველაზე მიმზიდველ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე. აღნიშნული მოიცავს: ა) გაუმჯობესებულ ურბანულ ლანდშაფტს და საზოგადოებრივ პარკინგს და ბ) საინფორმაციო ჯიხურების, კაფეების და საზოგადოებრივი ტუალეტების მშენებლობას. გ) მისასვლელი გზებისა და ნიშნების სისტემის გაუმჯობესებას. გამოიკვეთა ძირითადი ტურისტული მარშრუტი, რომელიც აერთიანებს ქვემოთმოყვანილ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რომლებიც განსაზღვრულია სარეაბილიტაციოდ: გელათის მონასტერი, ვანის მუზეუმი, უბისას მონასტერი, კაცხის მონასტერი და სვეტი. დ) მისასვლელი გზების გაუმჯობესება. ე) შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.

## კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება

საქართველოს ეროვნული ტურიზმის სააგენტოს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (მგფ) და სხვა ადგილობრივი და რეგიონული დაწესებულებები ინსტიტუციური შესაძლებლობის და შესრულების გაუმჯობესება ქვემოთმოყვანილი საქმიანობების განხორციელების მიზნით:

- მარშრუტების მართვა და რეკლამირება, ობიექტების მართვის გეგმების მომზადების და ადგილობრივი კამპანიების ჩატოვლით;
- გეოტურისტული მარშრუტები და დაგეგმილი მარშრუტების პორტალი;
- მომუშავე პერსონალის პროფესიული უნარების განვითარება და შესაძლებლობის გამომუშავება;
- მშენებლობის ზედამხედველობა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მდგრადი მართვა;
- შესრულების მონიტორინგის და შეფასების საქმიანობა.

## პროექტის მთლიანი ღირებულება

მთელი პროექტის წინასწარი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (რომელიც მომზადებას და შეფასებას დაექვემდებარება), ფიზიკური და გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით დაახლოებით 48.75 მილიონ აშშ დოლარს უდრის, საიდანაც მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს 30

მილიონ აშშ დოლარს, IDA-ს კრედიტის სახით და 9 მლნ აშშ დოლარს IBRD-ის სესხის სახით, ხოლო მიმღები თანადაფინანსების სახით გაიღებს 9.75 მილიონ აშშ დოლარს.

#### **4. გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესავალი**

გდჩდ არის ტექნიკური სახელმძღვანელო რგპ-ის ფარგლებში, რომელიც ახორციელებს ყოველდღიურ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებს რეგიონში.

გმჩდ ასახავს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტრატეგიული შეფასებას თავის ყოველდღიურ ტექნიკურ ზედამხედველობით საქმიანობაში პროექტის განხორციელების პერიოდში. ის იქნება გამოყენებული სპეციფიკური-საინვესტიციო გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (გმგ) შემუშავებისათვის, მაშინ როცა პროექტის განხორციელების ეტაპზე ასეთი ინვესტიციების ბუნება და დეტალური სამოქმედო გეგმა შემუშავდება.

#### **5. პროექტის გარემოსდაცვითი შესაბამისობა**

რეგიონული განვითარების II პროექტი აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისობაში ეროვნულ კანონმდებლობასთან – მის კანონებთან, რეგულაციებთან, გარემოსდაცვითი მართვის, სოციალური პროტექციის და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტანდარტებთან. როგორც კი მოხდება მსოფლიო ბანკის მხრიდან ძირითადი ნაწილის დაფინანსება, მსოფლიო ბანკში უსაფრთხოების პოლიტიკაც ამოქმედდება. რეგიონული განვითარების პროექტი ეფუძნება მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგ პოლიტიკას:

OP/BP 4.01 გარემოზე ზემოქმედების შეფასება

OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები

OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება

## OP/BP 7.50 პროექტები საერთაშორისო წყალსატევებზე

პროექტი ახორციელებს საინვესტიციო კომპონენტებს ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდასაჭერად და იყენებს OP/BP 4.01 გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. პროექტის ხასიათის გათვალისწინებით, ყველა დასაფინანსებელი ინვესტიცია მის ფარგლებში შეუძლებელია განისაზღვროს წინასწარ. ქვეპროექტის აპლიკაცია გაკეთდება მონაცვლეობის საფუძველზე, პროექტის დამტკიცების შემდეგ. დასაფინანსებელ ქვეპროექტებს განახორციელებს – არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტი – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტი კლასიფიცირდება, როგორც გარემოსდაცვითი კატეგორია FI. ამ პროექტის ფარგლებში ქვეპროექტების უმრავლესობა განეკუთვნება “ბ კატეგორიას”. “ა კატეგორიის” ქვეპროექტები არ დაფინანსდება.

OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები ამოქმედდება ისტორიული შენობების რესტავრაცია/კონსერვაციის გასაძლიერებლად და სამუშაოების კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტების არეალში არ მიაყენებს ზიანს არსებული კონსტრუქციების სტრუქტურულ სტაბილურობას, კულტურული ძეგლების ისტორიულ და ესთეტიკურ ღირებულებას და ეკოსისტემის ბუნებრივ ბალანსს.

OP/BP 4.12 ამოქმედდება მიწის გასხვისების არანებაყოფლობითი განსახლების შემთხვევებისთვის განსაზღვრული ინვესტიციების ფარგლებში. რადგან ასეთი ინვესტიციების მდებარეობა პროექტის განხორციელებამდე არ იყო განსაზღვრული, მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (გპჩდ) და მის ფარგლებში ინდივიდუალური ქვეპროექტებისთვის - განსახლების სამოქმედო გეგმა (გსგ), რომელიც განხორციელდება მოცემული ქვეპროექტების ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

OP/BP 7.50 ამოქმედდა გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში წყალტუბოში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია ფინანსდება ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის პროექტის მხარდაჭერით. გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი შესრულებულია აღნიშნული პროექტისთვის და მოიცავს OP/BP 7.50 პროცედურულ მოთხოვნებს. რეგიონული განვითარების მეორე პროექტი უზრუნველყოს დამატებით რესურსებს საქმიანობების განსახორციელებლად, რომელიც შერჩეულია დასაფინანსებლად გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად და ჩამდინარე წყლების მდგრადი მართვის პროექტის მხარდაჭერით.

მსოფლიო ბანკის ოპერაციული პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობასა და მთავრობის ინტერესების გათვალისწინებას, ასევე კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას. ამ მხრივ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უზრუნველყოფს ქვეპროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ან/და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას მონაწილე მხარეებთან კონსულტაციისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების საჯარო გამოქვეყნებასთან ერთად.

## **6. ქვეპროექტის გარემოზე ზეგავლენის განსაზღვრა (სკრინინგი) და შეფასება**

ქვეპროექტის სკრინინგის (*ბმული 1*) მიზანია მოხდეს ძირითადი საფრთხეებისა და სარგებლის იდენტიფიცირება ბუნებრივი გარემოს, სოციალური სფეროსა და კულტურული მემკვიდრეობისთვის. ასეთი განსაზღვრის შემდეგ, შემოთავაზებული ქვეპროექტები კლასიფიცირდება ბ კატეგორიად. “ა კატეგორიის” ქვეპროექტები არ დაფინანსდება რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში. ასეთი პროექტები არაა უფლებამოსილი. “ბ კატეგორიის” ქვეპროექტები განხორციელდება მაღალი და დაბალი რისკების გათვალისწინებით. *მეორე ბმული* უზრუნველყოფს უფლებამოსილი ქვეპროექტების პოტენციური რისკების გათვალისწინებით რანჟირებას. მაღალი და დაბალი რისკების გათვალისწინებით, მოხდება გარემოზე ზედამხედველობის შემოწმება, რომელიც მოიცავს გარემოზე ზედამხედველობის განხილვას მაღალი რისკების მქონე “ბ კატეგორიისთვის”, ან შეზღუდული იქნება გამოიყენოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის (*ბმული 4*) დაბალი რისკების მქონე “ბ კატეგორიისთვის”.

სოციალური სკრინინგი არის ასევე ქვეპროექტის გარემოზე ზეგავლენის განსაზღვრის ნაწილი. ის ითვალისწინებს OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლების გამოყენებას განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, რომლის შემდეგაც შემდგომი საფეხური იქნება განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მომზადება რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში. ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი განხორციელდება სოციალური სკრინინგის ფორმის გამოყენებით (*ბმული 3*).

## 7. გარემოზე ზეგავლენის განხილვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

შემოთავაზებულ ქვეპროექტებზე გარემოზე ზეგავლენის განხილვა აფასებს და აანალიზებს გარემოზე ზეგავლენის პოტენციურ რისკებს მისი გავრცელების არეალში, ბუნებრივი გარემოს, კულტურული მემკვიდრეობისა და სოციალურ ასპექტებში, ასევე მოსალოდნელ სპეციფიკურ გავლენას, მის მასშტაბებსა და ხანგრძლივობას; იკვლევს პროექტის ალტერნატივებს შემოთავაზებულ პროექტსა და ტექნოლოგიურ მიდგომებზე, განსაზღვრავს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემსუბუქების გზებს (ასევე პოზიტიური ზეგავლენის გაზრდის შესაძლო გზებსაც), ასევე აფასებს რეკომენდირებული შემამსუბუქებელი ზომების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, და ავითარებს სქემას ამ შემამსუბუქებელი ზომების მონიტორინგისთვის. სამშენებლო სამუშაოებისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს პოტენციური ზეგავლენა არის გარემოზე ზეგავლენის განხილვის საგანი. გარემოსდაცვითი მართვისა და მონიტორინგის გეგმა იქნება გარემოზე ზეგავლენის განხილვის განუყოფელი ნაწილი.

მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი შეფასება *(ბმული 5)* არის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის ნაწილი დაბალი რისკების მცირემასშტაბიანი პროექტებისათვის. ეს არის საკონტროლო სია, რომელიც უნდა შეივსოს მოკლე ინფორმაციით ქვეპროექტების ობიექტების განლაგების შესახებ, ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს ირგვლივ, მიწის საკუთრების, ქვეპროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ, ინფორმაციებს ღონისძიებების სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ამაზე დაყრდნობით, საკონტროლო სია უზრუნველყოფს მათთვის შესაბამის შემამსუბუქებელ ზომებს განზოგადებული ტიპებით. გარემოსდაცვითი და მონიტორინგის გეგმა უნდა შემუშავდეს როგორც ქვეპროექტის მხარდამჭერი, რომელმაც უნდა განსაზღვროს როგორი შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იქნას გამოყენებული და რა გზით უნდა მოხდეს მათი მეთვალყურეობა.

## 8. საჯარო კონსულტაცია

რეგიონული განვითარების II პროექტი მომზადდა ინტენსიური და მნიშვნელოვანი კონსულტაციების საფუძველზე ისეთ დაინტერესებულ

მხარეებთან, როგორებიცაა შესაბამისი სამინისტროები, იმერეთის გუბერნატორი, რეგიონის მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები (ტუროპერატორების ასოციაცია, ღვინის ასოციაცია, ტურიზმის ასოციაცია, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები), კერძო სექტორის წარმომადგენლები იმერეთისა და საქართველოს მასშტაბით, პროფესიონალები სხვადასხვა აკადემიური წრეებიდან და ყველაზე მნიშვნელოვანი - ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც ამ პროექტის პირდაპირი მოსარგებლები არიან და ასევე ექცევიან პირდაპირი ზეგავლენის არეალში ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებისა და ოპერაციების დროს.

წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტი, სამუშაო ვერსიის სახით, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით და ასევე, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით, გაიმართა დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო შეხვედრები. დოკუმენტი დასრულებულია მას შემდეგ, რაც წარმოდგენილ გარემოსდაცვით ჩარჩო დოკუმენტს თან დაერთო საჯარო განხილვის ოქმი (ბმული 6).

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშები და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმები გამოქვეყნდება საჯაროდ ადგილობრივი მოსახლეობის სპეციფიკური ყურადღებისთვის მათთვის გასაგები ენითა და ფორმატით. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმები ღია იქნება კომენტარებისთვის, ხოლო საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება ადგილობრივების ჩართულობის ხელის შეწყობის მიზნით. საზოგადოების შეხვედრები გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმაში და ჩატარებული საკონსულტაციო პროცესის დოკუმენტური მტკიცებულება თანდართული იქნება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმებთან და შენახული იქნება სპეციალურ ფაილში.

## **9. გარემოსდაცვითი ვალდებულებები მგფ-ის კონტრაქტორებისთვის**

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა უნდა დასრულდეს სატენდერო პაკეტების გახსნამდე და ის უნდა იყოს თანდართული სატენდერო დოკუმენტაციასთან ისე, რომ პოტენციური მონაწილეები იყვნენ გაცნობილნი მათი მხრიდან განსახორციელებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების სტანდარტებს და ჰქონდეთ ის ასახული თავიანთ სატენდერო წინადადებებში. დიდი მოცულობისა და განცალკევებული შემამსუბუქებელი ღონისძიებები ასახული და შესაბამისად განფასებული იქნება სამუშაოთა მოცულობის უწყისებში.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა არის სამუშაოთა კონტრაქტების განუყოფელი ნაწილი, რომლის განხორციელება სავალდებულოა

კონტრაქტორებისთვის. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, როგორც სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი, პასუხისმგებელი იქნება, რომ სამუშაოების განხორციელება შესაბამისი იყოს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებთან, მათ შორის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან. წვრილმანი დარღვევებისთვის, რომელიც იწვევს დროებით მაგრამ შექცევად დაზიანებას, კონტრაქტორს ეძლევა 48 საათი პრობლემის მოგვარებისა და გარემოს აღდგენისათვის. თუ ეს მოხდა ამ პერიოდია განმავლობაში და ღონისძიებები დამაკმაყოფილებელია, სხვა ტიპის აქტივობების ჩატარება აღარ იქნება აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მგფ სხვა კონტრაქტორის დახმარებით შეძლებს ამ პრობლემის მოგვარებას, და თანხას გადაუხდის დამრღვევი კონტრაქტორის მომდევნო ანაზღაურების წილიდან. მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, რომელიც იწვევს ხანგრძლივ და შეუქცევად დაზიანებებს, გამოყენებული იქნება ფინანსური ჯარიმა კონტრაქტის ღირებულების 1%, აღდგენითი ღონისძიებების საფასურის დამატებით.

## 10. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

გარემოსდაცვითი მონიტორინგი არის მგფ-ის საზედამხებდგელო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი პროექტის განხორციელების პერიოდში. მგფ პასუხისმგებელია ადგილზე როგორც სამშენებლო სამუშაოების მენეჯერების საქმიანობაზე, ასევე მომუშავე პერსონალის შესაბამისობაზე გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან. მგფ მოითხოვს კონტრაქტორისგან სამუშაოების გარემოსდაცვითი ნებართვების დროულ წარდგენას ასფალტის/ბეტონის კონსტრუქციებზე (ფლობის შემთხვევაში); ლიცენზიებს ინერტულ მასალებზე (სამტეხლოს არსებობის შემთხვევაში); ხელმოწერილ ხელშეკრულებას ადგილობრივ ორგანოებთან ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით. მგფ განახორციელებს ადგილზე მონიტორინგს კონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესაბამისობასთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან, მოახდენს გარემოსდაცვითი საკითხების ან რისკების იდენტიფიცირებას და დააკვირდება დადგენილი აღდგენითი ღონისძიებების სწორ გამოყენებას. თუ აღნიშნული არ იქნება შესაბამისობა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან, მგფ დაავალებს კონტრაქტორებს მიიღონ მაკორექტირებელი ზომები და კვლავაც განახორციელებს ყურადღებით დაკვირვებას სამუშაოების პროგრესზე.

მგფ ასევე დაიქირავეს სამუშაოების საერთაშორისო საზედამხედველო კომპანიას ზემოთ აღწერილი სამეთვალყურეო ფუნქციების უკეთ განსახორციელებლად. გარემოსდაცვითი, კულტურული და სოციალური საკითხის ასპექტები იქნება სამეთვალყურეო კომპანიის ტექნიკური დავალების განუყოფელი ნაწილი.

## 11. ანგარიში

ქვეპროექტების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დოკუმენტირება სავალდებულოა. ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშებისთვის შემუშავებულია მონიტორინგის საკონტოლო სიები (*ბმული 5*), სადაც ასახულია თითოეული შემამსუბუქებელი ზომის ხარისხი და მოცულობა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებული იქნება ადგილზე გადაღებული ფოტო მასალებით.

კვარტალური შუალედური ანგარიშების გარემოსდაცვითი ნაწილი, რომელიც გაზიარებულია მსოფლიო ბანკთან, უნდა გადმოსცემდეს უფრო საფუძვლიან, ანალიტიკურ ინფორმაციას რგპ-ის გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულების შესახებ, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმიდან გადახვევების/დარღვევების მიმოხილვას ანგარიშების პერიოდში, ინსტრუქციებს, რომელიც კონტრაქტორებს მიეცათ ნებისმიერი სისუსტის ან განსაზღვრული საკითხებისა და გამოვლენილი შემთხვევების შემდგომი ღონისძიებების მიმართ.

სავალდებულოა დაუყოვნებლივ შეტყობინება მსოფლიო ბანკისთვის ანგარიშების ვადების წარდგენის გათვალისწინების გარეშე ნებისმიერი შემთხვევის, საგანგებო სიტუაციების ან გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესახებ, რომელიც შეიძლება მოხდეს სამუშაოების პერიოდში და პირდაპირ და ირიბად ახდენდეს გავლენას გარემოზე, ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე, სამუშაოების უზრუნველყოფ პერსონალზე ან/და პროექტის ობიექტების სიახლოვეს მყოფ მოსახლეობაზე.



**ქვეპროექტების გარემოზე ზეგავლენის შეფასების სკრინინგისა  
და კლასიფიკაციის კითხვარი**

**ა. ზემოქმედების იდენტიფიკაცია**

აქვს თუ არა პროექტს საგრძნობი გავლენა გარემოზე?	
რაში მდგომარეობს პროექტის მნიშვნელოვანად სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?	
აქვს თუ არა პროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ზეგავლენა ადგილობრივ ან ზეგავლენის არეალში მყოფ საზოგადოების ჯგუფებზე?	
რა ზეგავლენას ახდენს პროექტი ადამიანის ჯანმრთელობაზე?	

**(ბ) შემამსუბუქებელი ზომები**

რა ალტერნატივებია განხილული პროექტის განხორციელების გეგმაში და რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	
წინა ანალოგიური პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტის განხორციელების გეგმაში?	
მონაწილეობდნენ თუ არა პროექტის მომზადებაში დაინტერესებული საზოგადოების ჯგუფები და ადეკვატურად იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და გამოცდილება?	

**(დ) კატეგორიზაცია და დასკვნა**

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

- 1. ქვეპროექტი უარყოფილია
- 2. ქვეპროექტი მიღებულია

თუ მიღებულია, რისკების შეფასებაზე დაყრდნობით, ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს:

- 1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას
- 2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის ჩათვლით.

*უფლებამოსილი ქვეპროექტების რისკების შეფასება*

ბუნებრივი და სოციალური გარემოს სენსიტიური მიმღებნი ქვეპროექტის ობიექტის ირგვლივ	არის / არ არის?	მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება / მაღალი რისკი  (აღნიშნეთ)	უმნიშვნელო პოტენციური ზემოქმედება / დაბალი რისკი  (აღნიშნეთ)
ბუნებრივი ადგილსამყოფელი, მოწყვლადი ეკოსისტემები		ტყეები; დაჭაობებული არეალები; ფრინველების ბუდობისა და გადამფრენი ფრინველების დასვენების ადგილები, ცოცხალი ბუნების კორიდორები, რომელიც დაცულ ტერიტორიებს აერთებს, ციცაბო ფერდობები, ალპური და სუბალპური ზონები, მწვანე მინდვრები,	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ანტროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ტერიტორიები
ზედაპირული წყლების ობიექტები		დიდი მდინარეები და მდინარის ჭალები, ტრანს-სასაზღვრო წყლის ობიექტები და მათი შენაკადები, ტბები; უფრო მცირე ზომის წყლის ობიექტები, რომელსაც დიდი დანიშნულება აქვს ადგილობრივი თემების (მოსახლეობის) ან ბიომრავალფეროვნებისათვის	მცირე მდინარეები და ნაკადულები, ხელოვნური წყალსაცავები და ტბორები, რომლებსაც არ გააჩნია მარალი ღირებულება ადგილობრივი თემების (მოსახლეობის) ან ბიომრავალფეროვნებისათვის
გრუნტის წყლების რესურსები		რეგიონული/სახელმწიფო მნიშვნელობის დანალექები, მინერალური და/ან თერმული წყლების წყაროები, გრუნტის წყლების მაღალი დონე	გრუნტის წყლების ნორმალური დონე

ღირებულებული ლანდშაფტები		დაცული ლანდშაფტები, გამორჩეული ესთეტიკური ღირებულების ლანდშაფტები, მწვანე მინდვრები, რეკრეაციული ზონები	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ანტროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ტერიტორიები
ფიზიკური კულტურული რესურსები		კულტურის ძეგლების ინდივიდუალური ან საერთო დაცვის ზონები, ისტორიული ან ტრადიციული ობიექტები (რელიგიური, სასაფლაო, რიტუალური)	კულტურული რესურსების არარსებობა
დასახლებული პუნქტები		20-ზე მეტი ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლე; საჭიროა ფიზიკური ადგილმონაცვლეობა	20-ზე ნაკლები ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლე; საჭირო არ არის ფიზიკური ადგილმონაცვლეობა
გეოლოგიური საფრთხეები: ძლიერი ეროზია, მეწყერები, დატბორვა		აღრიცხულია	არ არის აღრიცხული
<p>თუკი შეფასების ზემოთმოყვანილი ნებისმიერი კრიტერიუმის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ ქვეპროექტი იყოს მაღალი რისკის მატარებელი, ის მაღალი რისკის ქვეპროექტად განიხილება. უნდა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა და მომზადდეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა.</p> <p>თუკი შეფასების ზემოთმოყვანილი კრიტერიუმების საფუძველზე ქვეპროექტი სავარაუდოდ არ არის მაღალი რისკის მატარებელი, ის დაბალი რისკის ქვეპროექტად განიხილება და უნდა შეივსოს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია</p>			

## ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)		
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბელღები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა და გარემოსდაცვითი დონსიძიებების ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

## გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია

### მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის საკონტროლო სიის გამოყენების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები:

დაბალრიკიანი ტოპოლოგიებისათვის, როგორცაა სკოლისა და საავადმყოფოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ECA -ს უსაფრთხოების გუნდმა შეიმუშავა ამჟამინდელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის ფორმატის ალტერნატივა, რათა ჯანდაცვის, განათლების და კომუნალური მომსახურების სექტორებში მცირემასშტაბიანი სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებისათვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის მომზადების უფრო რაციონალური მიდგომისათვის გაეხსნა გზა. საკონტროლო სიის ტიპის ფორმატი შემუშავებულ იქნა “მოწინავე გამოცდილების ნიმუშის” უზრუნველსაყოფად, იგი მომხმარებელზე ორიენტირებული და უსაფრთხოების მოთხოვნების შესატყვისია.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის საკონტროლო სიის ტიპის ფორმატი მიზნად ისახავს მოიცვას ძირითადი ტიპური შემამსუბუქებელი მიდგომები იმ სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებისათვის, რომლებსაც მცირე ადგილობრივი ზეგავლენა აქვს გარემოზე. მიღებულია, რომ ამ ფორმატში მოცემული იყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) ან გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის (EMF) ძირითადი ელემენტები, რათა დაცული იქნას მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნებთან შესატყვისობა OP 4.01 ფარგლებში. წინამდებარე საკონტროლო სიის დანიშნულებას წარმოადგენს, რომ იგი გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ მცირე სამუშაოების კონტრაქტებისათვის და შეადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი ბანკის დაფინანსებული მცირე სამშენებლო პროექტების განმახორციელებელი კონტრაქტორებისათვის.

საკონტროლო სია სამი განყოფილებისაგან შედგება:

ნაწილი 1 შეიცავს აღწერით ნაწილს, რომელიც ახასიათებს პროექტს და დეტალურად განსაზღვრავს ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ასპექტებს, ტექნიკური პროექტის არსს, უნარ-ჩვევების გამოძეგვების პროგრამის პოტენციურ საჭიროებას და საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესის აღწერას. ეს

განყოფილება ორ გვერდამდე მოცულობის უნდა იყოს. დამატებითი ინფორმაციის შემცველი დანართები საჭიროებისამებრ იქნება თანდართული.

ნაწილი 2 შეიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის საკონტროლო სიას, სადაც საქმიანობები და პოტენციური გარემოსდაცვითი საკითხები მონიშნება მარტივ დიახ/არა ფორმატში. თუკი “დიახ” პასუხის გაცემისას მოქმედებაში მოდის რომელიმე მოცემული საქმიანობა/საკითხი, მითითებულია შემდეგი ცხრილის სათანადო განყოფილება, რომელიც შეიცავს ნათლად ფორმულირებულ მართვისა და შემამსუბუქებელ ზომებს.

ნაწილი 3 წარმოადგენს მონიტორინგის გეგმას პროექტის მშენებლობისა და განხორციელების პერიოდის საქმიანობებისათვის. იგი ინარჩუნებს იგივე ფორმატს, რაც B კატეგორიის პროექტებისათვის ბანკის მიერ არის მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმისათვის. ამ საკონტროლო სიის მიზანს წარმოადგენს, რომ ნაწილები 2 და 3 შევიდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში კონტრაქტორებისათვის, სატენდერო ფასების მითითებით და გულმოდგინე ზედამხედველობით სამუშაოების განხორციელების განმავლობაში.

## სარჩევი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და ობიექტის შესახებ
- ბ) ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ
- გ) შემამსუბუქებელი ზომები
- დ) მონიტორინგის გეგმა



**ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ**

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა				
ქვე-პროექტის დასახელება				
ქვე-პროექტის მიზნები და საქმიანობა				
ინსტიტუციონალური ღონისძიებები (დასახელება და კონტაქტები)	მსოფლიო ბანკი	პროექტის მართვა	ადგილობრივი მხარე და/ან მიმღები	
განხორციელების სტრუქტურა (დასახელება და კონტაქტები)	უსაფრთხოების ზედამხედველობა  მსოფლიო ბანკი	ადგილობრივი მხარე ზედამხედველობა  ტექნიკური ზედამხედველი	ადგილობრივი შემოწმებლები  ზედამხედველობა	უსაფრთხოების ზედამხედველობა
საპროექტო ტერიტორიის აღწერა				
საპროექტო ტერიტორიის დასახელება				
ტერიტორიის ლოკაციის აღწერა			დანართი 1: საპროექტო ტერიტორიის რუკა [ ]	
ვინ არის მიწის მფლობელი?				
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და სოციო-ეკონომიკური კონტექსტის აღწერა				
სამშენებლო მასალების, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვების მდებარეობა და მანძილი				

კანონმდებლობა	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები, რომლებიც პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებული</p>	
საზოგადოებრივი კონსულტაცია	
<p>საზოგადოებრივი კონსულტაციის ჩატარების დროის/ადგილის განსაზღვრა</p>	
ინსტიტუციონალური უნარების ჩამოყალიბება	
<p>გათვალისწინებულია თუ არა გარკვეული უნარების ჩამოყალიბება?</p>	<p><input type="checkbox"/> არა ან <input type="checkbox"/> დიახ თუ, დიახ დანართში 2 წარმოდგენილია უნარების ჩამოყალიბების პროგრამა</p>

## ნაწილი ბ: ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/საკითხი	სტატუსი	მოქმედებაში მოყვანილი საქმიანობა
შეიცავს/გულისხმობს თუ არა ობიექტზე საქმიანობა შემდეგი საქმიანობებიდან რომელიმეს?	ა. შენობის რეაბილიტაცია	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი ა განყოფილება
	ბ. ასალი მშენებლობა	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი ა განყოფილება
	გ. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი ბ განყოფილება
	დ. ისტორიული შენობები და უბნები	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი გ განყოფილება
	ე. მიწის შესყიდვა <sup>2</sup>	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი დ განყოფილება
	ვ. სახიფათო და ტოქსიკური მასალები <sup>3</sup>	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი ე განყოფილება
	ზ. ზემოქმედება ტყეებზე და დაცულ ტერიტორიებზე	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი ვ განყოფილება
	თ. სანიტარული ნარჩენების გატანა/განკარგვა	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი ზ განყოფილება
	ი. ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	[ ] დიახ [ ] არა	იხ ქვემოთმოყვანილი თ განყოფილება

<sup>2</sup> მიწის შესყიდვა გულისხმობს ხალხის გადაადგილებას, საარსებო წყაროს ცვლილებას, კერძო საკუთრებაში შეჭრას, მიწის შესყიდვას/გადაცემას, და ეხება ადამიანებს რომლებიც ცხოვრობენ და/ან არარეგისტრირებულ მობინადრეებს და/ან ბიზნესის მეპატრონეებს (კიოსკები) იმ მიწაზე, რომელიც შესყიდული უნდა იქნას. .

<sup>3</sup> ტოქსიკური / სახიფათო მასალები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება: აზბესტით, ტოქსიკური საღებავებით, მომწამლავი გამხსნელებით, ტყვიის საღებავით.

ნაწილი გ: შემამსუბუქებელი ზომები

საქმიანობა	პარამეტრები	შემამსუბუქებელი ზომების საკონტროლო სია
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშახელის უსაფრთხოება	<p>(ა) ადგილობრივი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ინსპექტორატი და თემი შეტყობინებულ იქნა მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ.</p> <p>(ბ) საზოგადოება შეტყობინებულ იქნა სამუშაოების შესახებ შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით, მას მედიით და/ან საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ობიექტებზე (სამშენებლო ობიექტის ჩათვლით)</p> <p>(გ) ყველა იურიდიულად საჭირო ნებართვა მოპოვებულ იქნა მშენებლობისა და/ან რეაბილიტაციისათვის</p> <p>(დ) კონტრაქტორმა ოფიციალური თანხმობა განაცხადა, რომ ყველა სამუშაო განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ზემოქმედებას მეზობლად მოხინაღრეებზე და გარემოზე.</p> <p>(ე) მუშახელის პირადი დამცავი საშუალებები შესატყვისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან (ყოველთვის დამცავი ჩაფხუტები, საჭიროებისამებრ ნიღბები და დამცავი სათვალეები, უსაფრთხოების ღვედები და უსაფრთხო ჩექმები)</p> <p>(ფ) ობიექტებზე სათანადო ნიშნების დაყენება შეატყობინებს მუშახელს ძირითად წესებსა და ნორმებს, რომლებთან შესატყვისობაც სავალდებულოა.</p>
ა. ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობები	ჰაერის ხარისხი	<p>(ა) ინტერიერის ნგრევისას ნაგვის ჩამოსაყრელი ხის არხები იქნება გამოყენებული პირველი სართულის ზევით</p> <p>(ბ) ნანგრევი ნარჩენები გაკონტროლებულ ზონაში შეინახება, სადაც წყლით მოირწყვება მტვრის თავიდან ასაცილებლად</p> <p>(გ) პნევმატური ბურღვის/კედლის ნგრევის დროს წარმოქმნილი ნანგრევების მტვერი აღმოფხვრება წყლით პერმანენტულად მორწყვისა და/ან ობიექტზე მტვერსაწინააღმდეგო ეკრანების დაყენების მეშვეობით.</p> <p>(დ) მიმდებარე გარემო (ტროტუარები, გზები) სამშენებლო ნაგვისაგან გაიცლება მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად</p> <p>(ე) ობიექტზე არ მოხდება სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა</p> <p>(ფ) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლაზე ფუნქციონირებას</p>
	ხმაური	<p>(ა) სამშენებლო ხმაური ნებართვაში განსაზღვრულ შეზღუდულ საათებში იქნება ნებადართული</p> <p>(ბ) ექსპლოატაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები, და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, და აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნიდან შეძლებისდაგვარად შორს განთავსდება.</p>
	წყლის ხარისხი	<p>(ა) ობიექტზე გატარებული იქნება ეროზიისა და ნატანის კონტროლის სათანადო ზომები, როგორცაა მაგალითად თივის ზვინულები და/ან ნალექის შემაკავებელი ღობეები, რათა მოხდეს ნატანის შეჩერება, რომ იგი ობიექტიდან მიმდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში არ ჩაედინოს და არ გამოიწვიოს მათი ამღვრევა</p>
	მყარი ნარჩენების განკარგვა	<p>(ა) ნგრევისა და მშენებლობისაგან მიღებული ნარჩენების ყველა ტიპისათვის განსაზღვრული იქნება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მარშრუტები და ობიექტები.</p> <p>(ბ) ნგრევისა და მშენებლობის მინერალური ნარჩენები გამოცალკევდება სხვა საერთო ნაგვისაგან, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისაგან, იგი ობიექტზე გადაირჩევა და შეინახება სათანადო კონტეინერებში.</p> <p>(გ) სამშენებლო ნაგავი სათანადოდ შეგროვდება და გადაიყრება ლიცენზირებული შემგროვებლების მიერ.</p> <p>(დ) ნარჩენების გატანის აღრიცხვა იწარმოებს, როგორც ნაგვის სათანადოდ განკარგვის მტკიცებულება.</p> <p>(ე) საჭიროებისამებრ კონტრაქტორი განმეორებით გამოიყენებს სათანადო სიცოცხლისუნარიან მასალებს (აზბესტის გარდა).</p>

<p><b>ბ.</b> ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა</p>	<p>წყლის ხარისხი</p>	<p>(ა) სამშენებლო ობიექტების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ჩამდინარი წყლების განკარგვის მექანიზმი დამტკიცებული უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.</p> <p>(ბ) წყალმიმღებში ჩადინებამდე, ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემიდან ჩამდინარი წყლები უნდა გაიწმინდოს, რათა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ჩამდინარი წყლების ხარისხისა და საკანალიზაციო წყლების გაწმენდის ხარისხის მინიმალური კრიტერიუმები.</p> <p>(გ) განხორციელდება ახალი საკანალიზაციო სისტემების მონიტორინგი (პროექტამდე/პროექტის შემდგომ).</p> <p>(დ) სამშენებლო მანქანები და მექანიზმები გაირეცხება მხოლოდ განსაზღვრულ ადგილას, სადაც ნაჟონი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს.</p>
<p><b>გ.</b> ისტორიული ნაგებობები</p>	<p>კულტურული მემკვიდრეობა</p>	<p>(ა) თუკი შენობა ისტორიული ძეგლია, ახლოს იმყოფება ამგვარ ძეგლთან ან ისტორიულ უბანში მდებარეობს, განხორციელდება შეტყობინება, მოპოვებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობა/ნებართვა და ყველა სამშენებლო სამუშაო დაიგეგმება და განხორციელდება ადგილობრივი და ცენტრალური კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>(ბ) უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურა, იმისათვის, რომ არტეფაქტები ან სხვა შესაძლო “შემთხვევითი აღმოჩენები”, რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მიწის სამუშაოების ან მშენებლობის დროს შენიშნული და რეგისტრირებული იქნას, მოხდეს დაკავშირება სათანადო ორგანოებთან, ხოლო სამუშაოები გადადებული ან შეცვლილი იქნას ამგვარი აღმოჩენების მიზეზით.</p>
<p><b>საქმიანობა</b></p>	<p><b>პარამეტრები</b></p>	<p><b>შემამსუბუქებელი ზომების საკონტროლო სია</b></p>
<p><b>დ.</b> მიწის შესყიდვა</p>	<p>მიწის შესყიდვის გეგმა /ჩარჩო დოკუმენტი</p>	<p>(ა) თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ საჭირო გახდა ან თუკი მიწის ლეგალური და არალეგალური მფლობელების მიერ შემოსავლის დაკარგვა არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, მაშინ მყისვე უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ბანკის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელთან.</p> <p>(ბ) უნდა განხორციელდეს დამტკიცებული (თუკი პროექტი ამას მოითხოვს) მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი.</p>
<p><b>ე.</b> ტოქსიკური მასალები</p>	<p>აზბესტის განკარგვა</p>	<p>(ა) თუკი აზბესტი განთავსებულია ობიექტზე, მასზე ნათლად უნდა იქნას მითითებული, რომ იგი სახიფათო მასალაა.</p> <p>(ბ) შეძლებისდაგვარად, აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და იზოლირებული რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი ზემოქმედება.</p> <p>(გ) აზბესტი გატანამდე (თუკი გატანა საჭირო გახდება) სათანადოდ უნდა დატენიანდეს აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად</p> <p>(დ) აზბესტის გატანა და გადაყრა უნდა განხორციელოს უნარიანმა და გამოცდილმა პროფესიონალმა.</p> <p>(ე) თუკი აზბესტის მასალა დროებით არის დასაწყობებული, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იქნას მოთავსებული ჩაკეტილ მოცულობებში და სათანადოდ იქნას ნიშანდებული. გატარებული უნდა იქნას უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან არასანქცირებული გატანის წინააღმდეგ.</p> <p>(ფ) აზბესტის განმეორებითი გამოყენება დაუშვებელია.</p>
	<p>ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების განკარგვა</p>	<p>(ა) ობიექტზე ყველა სახიფათო და ტოქსიკური მასალების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც შესაბამის ეტიკეტზე მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და შენახვის შესახებ</p> <p>(ბ) სახიფათო მასალების ჭურჭლები უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რათა აცილებული იქნას დაღვრა და გამოტუტება</p> <p>(გ) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამტანებით და</p>

		<p>გატანილ იქნას ლიცენზირებულ ობიექტზე.</p> <p>(დ) არ უნდა იქნას გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტებისა ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავები.</p>
<p><b>ვ.</b> ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტყეები, ჭაობები და/ან დაცული ტერიტორიები</p>	დაცვა	<p>(ა) ობიექტის სიახლოვეში მყოფი ყველა აღიარებული ეკოსისტემა, დაჭაობებული ადგილი და დაცული ტერიტორია არ უნდა იქნას დაზიანებული ან გამოყენებული, პერსონალს მკაცრად ექნება აკრძალული ნადირობა, საკვების მოპოვება, ტყის მოჭრა და სხვა გარემოს დამაზიანებელი საქმიანობა</p> <p>(ბ) ჩატარდება ობიექტის სიახლოვეში მყოფი დიდი ზომის ხეების კვლევა და ინვენტარიზაცია, დიდი ხეები მონიშნება და შემოიღობება, დაცული იქნება მათი ფესვთა სისტემა, აცილებული იქნება ნებისმიერი სახით მათი დაზიანება.</p> <p>(გ) მიმდებარე ჭაობები და ნაკადულები დაცული უნდა იყოს სამშენებლო ობიექტიდან ნაჟონისაგან ეროზიისა და ნალექის კონტროლის სათანადო მოწყობილობით, როგორცაა მაგალითად თივის ზვინულები და და/ან ნალექის შემაკავებელი ღობეები.</p> <p>(დ) მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი დაცულ ტერიტორიებზე არ უნდა იყოს არალიცენზირებული კარიერი, სამტეხლო ან ნაგავსაყრელი.</p>
<p><b>ზ.</b> სანიტარული ნარჩენების განკარგვა</p>	<p>ინფრასტრუქტურა</p> <p>სანიტარული ნარჩენების განკარგვისათვის</p>	<p>(ა) ეროვნული ნორმების თანახმად, კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ ახლად აშენებული და/ან რეაბილიტირებული ჯანდაცვის დაწესებულებები აღჭურვილი იყოს სანიტარული ნარჩენების განკარგვის ინფრასტრუქტურით; რაც მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სპეციალური საშუალებები სხვა ნარჩენებისაგან განცალკევებული სამედიცინო ნარჩენებისათვის (რამიც შედის დაბინძურებული ინსტრუმენტები “ბასრი და წვეტიანი ინსტრუმენტები”, ოპერირების მერე ქსოვილები და სითხეები); და</li> <li>▪ უნდა არსებობდეს სათანადო შენახვის საშუალებები სამედიცინო ნარჩენებისათვის; და</li> <li>▪ თუ საქმიანობა მოიცავს საშუალებებით მკურნალობას, უნდა ადგილზე იყოს და ფუნქციონირებდეს გადაყრის სათანადო ვარიანტები;</li> </ul>
<p><b>თ.</b> ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე</p> <p>საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეებისათვის სამშენებლო საქმიანობის გამო</p>	<p>ა) ეროვნული ნორმების თანახმად, კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ობიექტი სათანადოდ იყოს დაცული, ხოლო სამშენებლო ტრანსპორტი რეგულირებული. რამიც შედის, მაგრამ არ ამოიწურება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ საჩვენებელი ნიშნები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის შემოვლითი ნიშნები: ობიექტი ნათლად უნდა ჩანდეს და მოსახლეობა გაფრთხილებული იყოს ყველა პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით</li> <li>▪ ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების სისტემა და პერსონალის ტრენინგი, კერძოდ კი ობიექტის შესასვლელში და ობიექტის სიახლოვეს ინტენსიურად მოძრაი ტრანსპორტისათვის. უსაფრთხო გასასვლელების და გადასასვლელების უზრუნველყოფა ფეხით მოსიარულეთათვის, სადაც მათი გზები სამშენებლო ტრანსპორტთან იკვეთება.</li> <li>▪ საშუალო საათების მისადაგება ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის მოდელთან, მაგ. ძირითადი საქმიანობის საათები არ უნდა დაემთხვეს პიკის საათს ან ნახირის მოძრაობის პერიოდს.</li> <li>▪ ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური რეგულირება ობიექტზე გაწვრთნილი და მხედველობის არეში მყოფი პერსონალის მიერ, თუკი ეს საჭირო იქნება მოსახლეობის უსაფრთხო და ხელსაყრელი გადაადგილებისათვის.</li> <li>▪ უსაფრთხო და მუდმივი მისასვლელის უზრუნველყოფა ოფისების, მაღაზიებისა და საცხოვრებელი სახლებისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების განმავლობაში, თუკი ეს შენობები ღიაა საზოგადოებისათვის.</li> </ul>

ნაწილი დ: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რომელი (არის ის პარამეტრი რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?)	სად (არის ის პარამეტრი რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე / თუ უწყვეტად?)	რატომ (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე ?)
1. საქმიანობის ტიპი						
2. საქმიანობის ტიპი						
3. საქმიანობის ტიპი						

## გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკონტროლო სია

სამშენებლო ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა						
კონტრაქტორის დასახელება						
ვიზიტის თარიღი (წელი/თვე/რიცხვი)						
ზედამხედველის ვინაობა (სახელი, გვარი)						
სამშენებლო სამუშაოს მიმდინარე ეტაპი						
შესამოწმებელი დოკუმენტები და ფაქტები		სტატუსი				
		დაახ	ნაწილობრივ	არა	არ ეხება	კომენტარი
ნებართვები, ხელშეკრულებები	კონტრაქტორს გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია					
	კონტრაქტორს გააჩნია სამშენებლო მასალების (ცემენტი, ასფალტი, აგური, ა.შ.) წარმოებისას გარემოზე ზემოქმედების ნებართვა					



	კონტრაქტორს მიღებული აქვს სამშენებლო ნარჩენების საბოლოო განთავსების ნებართვა					(თარიღი, გამცემი, გამოყოფილი ადგილის დასახელება)
	კონტრაქტორს გაფორმებული აქვს სახიფათო ნარჩენების გადაცემისა და გატანის ხელშეკრულება (ლიცენზირებულ ორგანიზაციასთან)					(თარიღი, ორგანიზაციის დასახელება)
სამშენებლო სამუშაოთა წარმოება	სამშენებლო ობიექტი შემოსაზღვრულია და გამაფრთხილებელი ნიშნები მოწყობილია					
	მშენებლობა არ აფერხებს ფეხმავალთა და ტრანსპორტის გადაადგილებას, ან მოწყობილია დროებითი შემოვლითი გზები					
	სამუშაო საათები დაცულია დასახლებულ ობიექტებში და მათ სიახლოვეს					
	წყლის, ელექტროენერჯის, ან გაზის მიწოდების დროებითი შეჩერების აუცილებლობისას ხდება მომხმარებელთა წინასწარი გაფრთხილება					
	სამშენებლო მანქანები და ტექნიკა გამართულია (არ ხდება საწვავ-საპოხის ჟონვა, ჭარბი გამონაბოლქვი და ხმარური)					
	სამშენებლო მასალა და ნარჩენები დროებით დასაწყობებულია ობიექტზე გამოყოფილ განსაზღვრულ ადგილას					
	სამშენებლო ნარჩენების ობიექტიდან გატანა ხდება რეგულარულად, წერილობით ნებდართულ ადგილას					

	ტრანსპორტირებისას სამშენებლო მასალა და ნარჩენები თავსდება გადახურულ ძარაზე					
	სამშენებლო ობიექტი ირწყვება მტვრის ინტენსიური წარმოქმნის და მშრალი ამინდის პირობებში					
	სამშენებლო ობიექტზე / ბანაკში განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები					
	სამშენებლო ბანაკში მიყვანილია წყალი, მოწყობილია ტუალეტი და დაცულია მისი სანიტარული მდგომარეობა					
	მიწის სამუშაოთა წარმოებისას არქეოლოგიური აღმოჩენისთანავე სამუშაო წყდება და ხდება დამკვეთის წერილობითი ინფორმირება					
უსაფრთხოების ზომები	მუშახელი იყენებს ცალკეული ტექნოლოგიური პროცესებისთვის აუცილებელ პირად დამცავ საშუალებებს (ჩაფხუტები, ხელთათმანები, რესპირატორები, სათვალეთები და ა.შ.)					
	სამშენებლო ობიექტზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების საბაზისო ნაკრებები					
სამუშაო დასრულება	ძირითად სამუშაოთა დასრულებისას წარმოებს ობიექტის საბოლოო დასუფთავება, გარე ლანდშაფტთან ჰარმონიზება და გამწვანება					

კარიერის ან მისი ცალკეული უბნის ექსპლუატაციის დასრულებისას წარმოებს ფუჭი მასალის უკუჩაყრა, კომპაქტირება, ტერასირება, და ლანდშაფტთან ჰარმონიზება					
--	--	--	--	--	--

## საჯარო განხილვის ოქმი

2012 წლის 10 სექტემბერს ქალაქ ქუთაისის მერიაში გაიმართა რეგიონული განვითარების მეორე პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და განსახლების ჩარხო დოკუმენტები საჯარო განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რეგიონის მოსახლეობა ინფორმირებული იყო საჯარო შეხვედრის გამართვის შესახებ, მათ წინასწარ ეცნობათ მერიის შენობაში წარმოდგენილი განცხადების მეშვეობით. ამასთანავე, დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია გაიგზავნა პროექტის ვებგვერდის ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტებში.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს გარემოსდაცვითი და განსახლების სამართლებრივი მოთხოვნები და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა, გარემოსდაცვითი და განსახლების ჩარხო დოკუმენტების მოთხოვნები, სტრუქტურა, შინაარსი და სამართლებრივი წინაპირობა, რომლებიც რეგიონული განვითარების მეორე პროექტის სამოქმედო გეგმის ნაწილია.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

სახელი; გვარი	organizacia
ალექსანდრე ლეჟავა	უფროსი სპეციალისტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში დონორებთან ურთიერთობის სამსახურში.
ნინო პატარაშვილი	გარემოსდაცვითი და განსახლების დეპარტამენტის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უფროსი სპეციალისტი.

საჯარო შეხვედრას ესწრებოდნენ იმერეთის რეგიონის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენელი რწმუნებულები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. (იხილეთ თანდართული ფოტოები).



დამსწრეთა სია

იმერეთის რეგიონული განვითარების პროექტი (RDPII)  
ქ. ქუთაისში დაგეგმილი გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის და განსახლების პოლიტიკის  
ჩარჩო დოკუმენტის საჯარო განხილვა

შეხვედრაზე დამსწრეთა სია

ქ. ქუთაისი 10 სექტემბერი 2012წ.

№	სახელი და გვარი	მოქალაქე/ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1	სამხარაძე ვაჟ	სამსახურის ჭიკური ინჟინერები	595-20-98-88	
2	ველი რეზოხელიძე	კანა, ინვესტიციური სექტორი	595 908071	
3	ზანა ზოსუძელი	დედადი ინჟინერები	599 27-32-50	
4	ვახიშვილი ქეთი	ქ. ნაყურბანი, ქ. დ. ინჟინერები	595 959064	
5	შვიციანი თეონა	ანატი, შვიციანი, სარეზინო	595-95-97 66	
6	ჩხეიძე მინა	ქუთაისი შპს	577 46 97 09	
7	პაპია ვიქტორია	სა. შვიციანი ინჟინერები	599561642	
8	ემსარი ვიქტორია	ქუთაისის ავტო მანქანების სერვისი	599-51-60-19	
9	ქობულაძე ნინო	სა. შვიციანი სპ. თრეიდი სერვისი	595-19-41-33	
10	კენჭაძე შიშქაია	იპოველ შპს	599984154	
11	სამხარაძე ვაჟ	სამსახურის სა. შვიციანი ინჟინერები	595 114454	

12	Բյուրոն ընկած	նշանակված նախնական համարներով դրամ. նպաստներ	599-99-02-84	Ե. Ս. Ս.
13	Ետև Տնօրենի Գրասենյակ	Գր	577 382292	Ե. Ս. Ս.
14	Լեզու ԲԵՄԻ	Լեզուի ֆունկցիոնալ միջոցներ ՁԶԶ ԿԻՆ. յուրաքանչյուր նախնական	577 382282	Ե. Ս. Ս.
15				
16				
17				
18				
19				
20				
21				
22				
23				
24				
25				
26				
27				

შეხვედრა გახსნა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელმა ალექსანდრე ლეუავამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის მიზნები და ინფორმაცია რეგიონული განვითარების მეორე პროექტის შესახებ.

მან ისაუბრა პროექტის მთავარ მიზნებსა და მიმართულებებზე, დაფინანსების წყაროებზე და რეგიონისთვის ზოგადად პროექტის მნიშვნელობაზე. მან ასევე მიმოიხილა ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ სერვისებთან. ასევე, იმ 5 პროექტზე, რომლებიც განხორციელდება იგეგმება მოცემული პროექტის ფარგლებში.

ნინო პატარაშვილმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია რეგიონული განვითარების მეორე პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და განსახლების ჩარხო დოკუმენტების შესახებ. მან შეხვედრის მონაწილეებს აცნობა ინფორმაცია ზემოთხსენებული დოკუმენტების მიზნებისა და შინაარსის, ასევე განახლებული დოკუმენტების სტრუქტურის და სამართლებრივი ფონის შესახებ.

შეხვედრაზე განხილულ იქნა განსახლებასთან და ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოიცავდა გარემოსდაცვით და განსახლების ჩარხო დოკუმენტებს. ასევე, მსოფლიო ბანკის სამართლებრივ დოკუმენტებს, ფორმატს და მეთოდოლოგიას გარემოსდაცვითი და განსახლების დოკუმენტების და კოორდინირების საკითხებს, განხორციელებას და მონიტორინგს, ასევე ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებს და დაინტერესებული მხარეების ანგარიშვალდებულებებს.

ისინი ასევე ინფორმირებულნი იყვნენ საჯარო უფლებებისა და გარემოსდაცვითი და განსახლების ჩარხო დოკუმენტაციის მომზადებისას საჯარო განხილვებში შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

განხილვის დროს წარმოდგენილი მთავარი საკითხები და თემები:

- პროექტის და ქვე-პროექტების მოკლე მიმოხილვა რეგიონალური განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში
- განსახლების ჩარხო დოკუმენტის გაცნობა
  - პოლიტიკურ-სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარხო დოკუმენტი;



- მსოფლიო ბანკის პოლიტიკა, უსაფრთხოება და ქართული კანონმდებლობა;
- რეგიონული განვითარების მეორე პროექტისთვის შემუშავებული განსახლების პრინციპები და მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები;
- მიღებისა და საკომპენსაციო საკითხები;
- განხორციელება;
- შეთანხმებები;
- საჩივრების განხილვის კომისია;
- განსახლების სამოქმედო გეგმის მონახაზი.

■ **გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის გაცნობა**

- პროექტის გარემოსდაცვითი შესაბამისობა
- ქვე-პროექტის სკრინინგი და დამტკიცება
- გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოს დაცვის მართვის გეგმა
- საჯარო კონსულტაცია
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კონტრაქტორების საიმედოობა, გარემოსდაცვის კუთხით
- გარემოსდაცვითი მონიტორინგი
- ანგარიშგება

■ **საჯარო განხილვებში მოსახლეობის ჩართულობა**

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ დამსწრე საზოგადოებას შორის გაიმართა მსჯელობა. კითხვა-პასუხის სესია, რომელიც წარმოდგენილი ცხრილში, გაიმართა მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლების მიერ.

კითხვები/ კომენტარები	პასუხები
როდის იგეგმება პროექტის განხორციელების დაწყება?	კონტრაქტი, წყალტუბოს ცენტრალურ ნაწილში საკანალიზაციო წყლებისა და წყალმომარაგების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით უკვე ხელმოწერილია. ქვე-პროექტების უმეტესობა სავარაუდოდ დაიწყება მიმდინარე წელს.

<p>იგეგმება თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება სამშენებლო სამუშაოებზე?</p>	<p>დასაქმების საკითხი, რომელიც არსებითია პროექტის იმპლემენტაციისას, გადაწყდება კონტრაქტორის მიერ, რომლის შერჩევა მოხდება ტენდერის შედეგად. მსოფლიო ბანკის მოთხოვნების თანახმად, მუშახელის შერჩევის დროს თანაბარი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივ მოსახლეობას.</p>
<p>იმ შემთხვევაში თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნება წინააღმდეგია განსახლების სამოქმედო გეგმით დადგენილი კომპენსაციის მიღებაზე, როგორ მოხდება ქონების შესყიდვა და ანაზღაურება?</p>	<p>პირველ რიგში შეეცდებიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პიროვნებასთან შეთანხმების მიღწევას კონსესუსის საფუძველზე. უკმაყოფილების მოგვარება მოხდება თავდაპირველად ადგილობრივ და საკრებულოს დონეზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა ჩართვით. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება შეთანხმების მიღწევა ამოქმედდება სახელმწიფო უფლება კერძო საკუთრების ჩამორთმევაზე და დაიწყება ექსპროპრიაციის პროცესი. შესაბამისი რეგიონული სასამართლო განიხილავს საქმეს, საზოგადოებრივ საჭიროებას კერძო საკუთრებაზე და ექსპროპირაციის განმხორციელებელ ორგანიზაციას გადასცემს შესაბამის უფლებებს პროცესის დასაწყებად. ასევე, სასამართლო დანიშნავს მესამე დამოუკიდებელ მხარეს, როელიც შეაფასებს აქტივს საბაზრო ღირებულების მიხედვით და განსაზღვრავს საკომპენსაციო თანხას კერძო მესაკუთრისთვის.</p>
<p>განსაზღვრულია თუ არა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის თანახმად რომელ გარემოსდაცვით კატეგორიას მიეკუთვნება რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები?</p>	<p>OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასების მიხედვით, იმერეთში რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი პროექტები და ქვე-პროექტები მიეკუთვნება B კატეგორიას. თავად ქვე-პროექტები იყოფა B+ და B- კატეგორიებად. B+ კატეგორიის ქვე-პროექტი განისაზღვრება, როგორც უფრო მაღალი რისკი მქონე, განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე გავლენის ხარისხის მიხედვით და საჭიროებს გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის მომზადებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს</p>

	<p>გარემოსდაცვით მართვის გეგმას.</p> <p>B- კატეგორიის ქვე-პროექტი განისაზღვრება, როგორც უფრო დაბალი რისკი მქონე, განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე გავლენის ხარისხის მიხედვით და საჭიროებს გარემოსდაცვით მართვის გეგმას, მცირე ზომის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილ გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სიის გამოყენებას.</p>
--	--

